თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 26 ივნისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის (18 ობიექტი) და რეაბილიტაციის (3 ობიექტი) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ (საკონკურსო განცხადების №561. 21.06.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 4 (ოთხი) კონკურსანტმა: 1. შ.პ.ს „პრაიმლასტიმა“, 2. შ.პ.ს „არქმშენმა“, 3. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“-მ და 4. შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა“.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტების თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

1. შ.პ.ს „პრაიმპლასტი“ – 8898 ლარი დღგ-ს გარეშე.
2. შ.პ.ს „არქმშენი“ – 7500 (შვიდიათასხუთასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“ – 5000 (ხუთიათასი) ლარი დღგ-ს გარეშე.
4. შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“– 7000 (შვიდიათასი) დღგ-ს გარეშე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 26 ივნისის 12:30 საათამდე პერიოდით.

საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები.

შ.პ.ს „პრაიმპლასტი“-ს, შ.პ.ს „არქმშენი“-ს, ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“-ს და შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები

შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ვასილ მებურიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

1. შ.პ.ს „პრაიმპლასტი“ - მიიღო 18,8 ქულა.
2. შ.პ.ს „არქმშენი“ – მიიღო 23,4 ქულა.
3. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“ - მიიღო 26,0 ქულა.
4. შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“- მიიღო 22,2 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა; კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის (18 ობიექტი) და რეაბილიტაციის (3 ობიექტი) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **კოტე რატიანი**

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ნოდარ მიქიაშვილი